ევროკავშირი საქართველოსთვის



ახალგაზრდული ინიციატივების საგრანტო კონკურსის ფარგლებში შემოსული კითხვები და პასუხები

ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC) და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრი (SGRC) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

The Hague Academy for local governance

IRC Innovations and reforms Center

SGRC

როდის იქნება ცნობილი ახალგაზრდული ინიციატივების საგრანტო კონკურსის შედეგები და როდის არის მოსალოდნელი პროექტების განხორციელების დაწყება?

ახალგაზრდული ინიციატივების საგრანტო კონკურსის შედეგები გამოცხადდება განაცხადების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 40 კალენდარულ დღეში. პროექტების განხორციელების დაწყებას გამარჯვებულები შეძლებენ არაუგვიანეს 2025 წლის აპრილიდან.

როდის უნდა წარადგინოს კომისიის მიერ შერჩეულმა განმცხადებელმა განაცხადით წარმოდგენილ ინიციატივაზე პრეზენტაცია?

პრეზენტაციების თარიღი წინასწარ არ არის განსაზღვრული, ვინაიდან დამოკიდებულია შემოსული განაცხადების რაოდენობაზე. თუმცა, მონაწილეებს მიეცემათ გონივრული ვადა პრეზენტაციისთვის მოსამზადებლად.

შეუძლია თუ არა ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფს (ლაგს) როგორც ორგანიზაციას,მიიღოს მონაწილეობა ახალგაზრდული ინიციატივების საგრანტო კონკურსში?

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებს, როგორც ორგანიზაციებს, არ შეუძლიათ ახალგაზრდული ინიციატივების მიმდინარე საგრანტო კონკურსში მონაწილეობა, ვინაიდან ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებს პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ ფარგლებში უკვე აქვთ მიმდინარე პროექტები, რომლის ფარგლებშიც ნაკისრი ვალდებულებები კონკურსის დასრულებამდე არ ექნებათ შესრულებული.

შეუძლიათ თუ არა ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (ლაგის) წევრებს მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდული ინიციატივების საგრანტო კონკურსში?

ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდული ინიციატივების საგრანტო კონკურსში.

შეუძლია თუ არა ახალგაზრდული ინიციატივების საგრანტო კონკურსში მონაწილე პირებს მონაწილეობა ასევე მიიღონ სხვა (ბიზნეს) საგრანტო კონკურსებში?

დიახ, ახალგაზრდული ინიციატივების საგრანტო კონკურსში მონაწილე პირებს შეუძლიათ პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ ფარგლებში გამოცხადებული ბიზნეს საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიღება.

სულ რამდენი ინიციატივა დაფინანსდება ახალგაზრდული ინიციატივების საგრანტო კონკურსის ფარგლებში?

ახალგაზრდული ინიციატივების საგრანტო კონკურსში დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა დამოკიდებულია პროექტების ბიუჯეტზე, თუმცა, მოსალოდნელია მინიმუმ 13 და მაქსიმუმ 100 ინიციატივის დაფინანსება. გასათვალისწინებელია, რომ თუ ინიციატივები შეფასებისას ვერ მიიღებენ მინიმუმ 70 ქულას, ასეთი ინიციატივები არ დაფინანსდება და შესაძლოა, გამოცხადდეს დამატებითი კონკურსი.

საინიციატივო ჯგუფი მინიმუმ/მაქსიმუმ რამდენი წევრისგან უნდა შედგებოდეს?

ახალგაზრდული ინიციატივების საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის საინიციატივო ჯგუფს უნდა ჰყავდეს მინიმუმ 10 ისეთი წევრი, რომელიც აკმაყოფილებს საგრანტო კონკურსის განცხადებაში მოცემულ სავალდებულო კრიტერიუმებს. ამასთანავე, წევრთა რაოდენობის ზედა ზღვარი არ არის განსაზღვრული.

არის თუ არა რაიმე შეზღუდვა თუ რომელ მუნიციპალიტეტებს უნდა მოიცავდეს განაცხადი/იდეა?

ახალგაზრდული ინიციატივების საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადი/იდეა უნდა შეეხებოდეს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მინიმუმ ერთ მუნიციპალიტეტს (ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტი). შესაძლოა, განაცხადი/იდეა შეეხებოდეს ერთზე მეტ მუნიციპალიტეტს, ან მთლიანი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეს.

განმეორდება თუ არა ახალგაზრდული ინიციატივებისსაგრანტო კონკურსი პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ ფარგლებში?

მოცემული მომენტისთვის განმეორებით მსგავსი კონკურსის ჩატარება არ იგეგმება. თუმცა, თუ კონკურსის შედეგად ვერ გამოვლინდა საკმარისი რაოდენობის პროექტები, რომლებმაც შეფასების შედეგად დააგროვეს მინიმუმ 70 ქულა) და საგრანტო კონკურსისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტიდან დარჩა თანხა, შესაძლოა მსგავსი კონკურსის განმეორება 2025 წელს.

რა ადმინისტრაციული ხარჯებიშეიძლება იყოს შეყვანილი ბიუჯეტში, რომელიც შეიძლება იქნეს დაფინანსებული საგრანტო თანხიდან?

ადმინისტრაციული ხარჯების სახეობები, რომლებიც შეიძლება დაფინანსდეს საგრანტო თანხიდან არ არის შეზღუდული, თუმცა, ბიუჯეტში გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხარჯები არ უნდა შეადგენდეს მთლიანი ბიუჯეტის 10% მეტს.

რამდენი პროექტის შემოტანის უფლება აქვს ერთ ორგანიზაციას?

ახალგაზრდული ინიციატივების საგრანტო კონკურსის ფარგლებში ერთ ორგანიზაციას შეუძლია მხოლოდ ერთი საპროექტო განაცხადის წარმოდგენა.

არსებობს თუ არა ასაკობრივი შეზღუდვა საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის?

ახალგაზრდული ინიციატივების საგრანტო კონურსში მონაწილეობისთვის შეზღუდვა დაწესებულია საინიციატივო ჯგუფის წევრებთან დაკავშირებით, სადაც მინიმუმ 10 წევრი უნდა იყოს 18-დან 30 წლამდე რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარესთან მჭიდრო კავშირში მყოფი პირი.

ორგანიზაციის (ააიპ-ის შემთხვევაში) მიერ წარმოდგენილი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რა ვადებს უნდა აკმაყოფილებდეს?

ამონაწერიდან უნდა ჩანდეს, რომ ორგანიზაცია მოქმედია. სასურველია, განაცხადის წარმოდგენის დროს თანდართული ამონაწერი განახლებული იყოს საგრანტო კონკურსის მიმდინარეობის მანძილზე. თუმცა, ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი იტოვებს უფლებას, შერჩევის შემდეგ, ასევე, მოითხოვოს განახლებული ამონაწერის წარმოდგენა.

არის თუ არა დასაშვები განაცხადი წარმოადგინოს სხვადასხვა საინიციატივო ჯგუფმა, რომელსაც ერთი და იგივე წევრი/წევრები ჰყავს?

არა, ერთი და იგივე პირი მხოლოდ ერთ საინიციატივო ჯგუფში შეიძლება იყოს წარმოდგენილი და ამ საკითხს მიეწცევა ყურადღება ტექნიკური შეფასების დროს.

არის თუ არა შესაძლებელი, ახალგაზრდული ინიციატივების საგრანტო კონკურსში განაცხადი წარმოადგინოს ორმა ორგანიზაციამ პარტნიორობით?

პარტნიორობაზე შეზღუდვა დაწესებული არ არის, თუმცა გასათვალისწინებელია საგრანტო კონკურსის ბიუჯეტი და ადმინისტრაციულ ხარჯებზე 10% შეზღუდვა, რაც ვრცელდება მთლიან ბიუჯეტზე და არა განმცხადებელზე.

ორგანიზაციის შემთხვევაში, ოფისი არსებობის აუცილებლობა რამდენად სავალდებულო პირობაა?

თუ ორგანიზაცია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეშია რეგისტრირებული, საკმარისია ორგანიზაციას ჰქონდეს იურიდიული მისამართი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში, საიდანაც შესაძლებელი იქნება პროექტის მართვა. თუ ორგანიზაცია არ არის რეგისტრირებული რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში სავალდებულოა, ორგანიზაციას მოქმედი ოფისი ჰქონდეს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში.

რამდენად ექვემდებარება დაფინანსებას ისეთი ადმინისტრაციული ხარჯები, როგორიცაა ტრეინინგები და სხვა გადამზადების კურსები?

ტრენინგებისა და სხვა გადამზადების კურსების ხარჯები არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და შესაბამისად, ამ ტიპის ხარჯებზე არ ვრცელდება ბიუჯეტში ადმინისტრაციულ ხარჯებთან დაკავშირებული 10% შეზღუდვა.

გამომდინარე იქედან, რომ კონკურსის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტი (ბიუჯეტი) საკმაოდ რთული შესადგენი, არის თუ არა შესაძლებლობა რომ პროექტმა განიხილოს ჯერ იდეა და თუ იდეა მისაღებია, შემდეგ წარმოვადგინო ბიუჯეტი?

განაცხადის სრულად, მათ შორის ბიუჯეტის, წარმოდგენა სავალდებულო პირობაა, ვინაიდან შემფასებლებისთვის იდეის სიკარგეზე მსჯელობა ბიუჯეტის გარეშე შეუძლებელი იქნება.

რატომ არის სავალდებულო, რომ ახალგაზრდული ინიციატივების საგრანტო კონკურსში მონაწილეობა მიიღოს საინიციატივო ჯგუფმა და არა ერთმა პირმა?

ახალგაზრდული ინიციატივების საგრანტო კონკურსის მიზნიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, განმცხადებელმა აჩვენოს თანამოაზრეთა მინიმალური რაოდენობის არსებობა. შესაბამისად, მცოლოდ ერთ პირს განაცხადის წარმოდგენა ამ საგრანტო კონკურსში არ შეუძლია.

სოფელჭალის თავშისულ არის 18 მაცხოვრებელი, რომელთაგან ვერ იქნება 10 ადამიანი მოძიებულივინც დააკმაყოფილებს ასაკობრივ შეზღუდვასდა ამშემთხვევაში როგორვიქცევით?

მსგავს შემთხვევაში შესაძლებელია სხვა სოფლებში/თემებში თანამოაზრეების მოძიება და გაერთიანება საზოგადო სიკეთეების შექმნისთვის.

შეიძლება თუ არა, რომ საინიციატივო ჯგუფში შედიოდნენ პირები რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საგრანტო არეალში?

დიახ, შესაძლებელია, თუმცა მნიშვნელოვანია, ამ პირებს ჰქონდეთ მჭიდრო კავშირი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარესთან (მაგალითად, ადგილობრივი ახალგაზრდები, რომლებიც სასწავლებლად სხვა მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეტის მხარიდან სხვა ადგილას წასული ახალგაზრდები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით კავშირს ინარჩუნებენ მხარესთან).